KA030160864522318

№ 01-3851/ს **11 / ოქტომბერი / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის
მარიანა მკურნალის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ოფისის მიერ მიმდინარე წლის 25-26 ოქტომბერს ყაზახეთის რესპუბლიკაში, ქ. ასტანაში ტარდება ,,პირველადი ჯანდაცვის გლობალური კონფერენცია'', ხოლო მიმდინარე წლის 30 ოქტომბრიდან 1 ნოემბრის ჩათვლით ქ. ალმათიში იმართება პროგრამული კონსულტაციები ,,პირველადი ჯანდაცვის წვლილი ანტიმიკრობული რეზისტენტობის შემცირებისას მედიკამენტების უსაფრთხოებასთან'' დაკავშირებით.

აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მარინა დარახველიძე.

ვიზიტებთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს (სასტუმრო, მგზავრობა და დღიური ნორმა) სრულად ანაზღაურებს მიმწვევი მხარე.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი მარინა დარახველიძისათვის მიმდინარე წლის 23 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით და 29 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით.

პატივისცემით,

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მარიანა მკურნალი